კომპანია „**ნიკორა**“ 1998 წელს ქართული კაპიტალით დაარსდა. დღესდღეობით ნიკორა წარმოდგენილია ჰოლდინგის სახით, რომელიც აერთიანებს თოთხმეტ შვილობილ კომპანიას. ჰოლდინგში წარმოდგენილი კომპანიები უმაღლესი ხარისხის ნედლეულის გამოყენებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დაცვით მომხმარებელს მრავალფეროვან ასორტიმენტს სთავაზობს, როგორიცაა: ხორცპროდუქტები, ნახევარფაბრიკატები, თევზეული, რძის პროდუქტები, ნაყინი, პურ-ფუნთუშეული, ღვინო. კომპანიას, ასევე, აქვს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი, მაღაზიათა ქსელი საქართველოს მასშტაბით და საკალმახე მეურნეობა. „ნიკორა“ არის მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტების, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების ექსკლუზიური იმპორტიორი საქართველოში. კომპანიის მთავარი მიზანია - განვითარება, გაფართოებისკენ მუდმივი სწრაფვა, სიახლეების ათვისება, სოციალური პასუხისმგებლობა, პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობა და მომხმარებლის ერთგულების მოპოვება.

"ნიკორა" ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი აქტიური დამსაქმებელია. ამჟამად, ჰოლდინგში 8000-ზე მეტი თანამშრომელია და კომპანიის განვითარებასთან ერთად დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. სრული ინფორმაციისათვის გადადით ჩვენს საიტზე: www.nikora.ge

სს „ნიკორა“ აცხადებს **სტაჟირებას შიდა აუდიტის დეპარტამენტში:**

- **სტაჟირების ხანგრძლივობა:** 6 თვე
- **ანაზღაურება სტაჟირების პერიოდში :** 800 ლარი

სტაჟირების პერიოდში თქვენ შეისწავლით და მიიღებთ მონაწილეობას:

- შიდა აუდიტის პროექტებში ჰოლდინგის მასშტაბით;
- თუ როგორ ხდება რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი შესრულების მონიტორინგი;
- თუ როგორ ხდება შიდა აუდიტის რეპორტების მომზადება ;
- ჩაერთვებით როგორც ფინანსურ ასევე პროცესუალურ აუდიტში.

სტაჟირებაზე მოსახვედრად საჭიროა:

- სწავლობდეთ ბიზნეს ადმინისტრირების, ეკონომიკის, ფინანსების მიმართულების ბოლო კურსზე ან იყოთ ახალი კურს დამთავრებული;
- გქონდეთ აკადემიური მოსწრება - GPA >3;
- იცოდეთ Excel მაღალ დონეზე;
- ფლობდეთ ინგლისურსა და ქართულ ენებს მაღალ დონეზე.

პიროვნული თვისებები:

- განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ვერბალური და წერითი უნარები;
- პრეზენტაბელურობა;
- დარწმუნების უნარი.

შერჩევა ჩატარდება სამ ეტაპად:

- რეზიუმეების გადარჩევა;
- ტესტირება;

- გასაუბრება;

შერჩეული კანდიდატები გაივლიან კომბინირებული ტესტს შემდეგი მოდულების გათვალისწინებით :

- ზოგადი უნარები;
- ინგლისურის ტესტი;
- ბუღალტერიის შესავალი კურსის ამოცანები (ACCA F1 F2 F3);
- ესე ქართულად.

სტაჟირების წარმატებით გავლა გულისხმობს დასაქმებასა და შემდგომ განვითარებას კომპანიაში!

თუ თქვენ აკმაყოფილებთ ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს გამოაგზავნეთ თქვენი CV მისამართზე: l.makharashvili@nikora.ge

სათაურის ველში გთხოვთ მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - **სტაჟირება შიდა აუდიტის დეპაარტამენტში.** განცხადების შემოტანის ბოლო ვადაა **2022 წლის 28 ოქტომბერი.**

თქვენს მიერ ზემოაღნიშნულ ელ.ფოსტზე გაგზავნილი რეზიუმე "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები ჩვენი კომპანიის მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. ვაკანსიის მოთხოვნებიდან გამომდინარე თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმე შესაძლოა არ იქნას განხილული მოცემულ ვაკანსიაზე, ან დარეზერვებული იქნას სხვა რელევანტური ვაკანსიისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებით ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე. მონაცემების შენახვის ვადაა 1 წელი.